საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

ბუდეშური

ბუდეშური, ქართული ვაზის უძველესი ჯიში. ცნობილია წითელი ბ. (თამარეული), უხვმოსავლიანი სუფრის ჯიში. მწიფდება სექტ. შუა რიცხვებში. ნაყოფის შაქრიანობა 15,5–16,5%, მჟავიანობა 5,5–6,0 გ/დმ³, არატრანსპორტაბელურია.

გვხვდება ქართლში, კახეთსა და დას. საქართველოში. თეთრი ბ. საღვინე და სუფრის ჯიშია. მწიფდება სექტ. ბოლოს. შაქრიანობა 18 – 20%, მჟავიანობა 6,5–7,0 გ/დმ³-მდე, საშ. მოსავლიანობა 100 ც/ჰა-ზე. გავრცელებულია ქართლსა და კახეთში, მცირე რაოდენობით გვხვდება ასპინძასა და ახალციხის რ-ნებში.

თეთრ ბ-ს იყენებენ შამპანური და სუფრის ღვინის საკუპაჟე მასალად.